

ბ. 320 274

გაბრიელ კახიანი  
გაბრიელ კახიანი



# ლექსები


საქართველოს  
საზღვრობე

744  
2

თქმული

ივანე ჭიჭინაძის

მიერ



თფილისი

სტამბა ტ. როტიანიძისა

1901

498

899.962.1-1

გამოცემა იმპერატორის ბიუროს № II

# ლექსები

საქართველოს  
საზღვარი

თქმული

ივანე ჯიჭინაძის

მიერ

117  
2



თფილისი

სვამბა ქ. როტინიანცისა

1901



დოვლენო цензурою. Тифлисъ, 2 Октябрия, 1901 года.



FS 3545

მე მთიული ვარ



მე მთიული ვარ, კლდის უბანს,  
წმინდა ჰაერით აღზრდილი,  
ჩემი სამშობლო რაქაა  
მთა-გორ კლდეებით აღესილი.  
ვეტრფი და ვეტრფი ჩემ რაქას!  
მისს გამჩენს ვენაცვალები;  
რადგან მე მის შვილს პირველად  
აქ ამეხილა თვალები.  
აქა ვშობილფარ, გაეზდილფარ,  
აქ ველი ვაყკაცობასა.  
ვებრძვი და ვებრძვი ცხოვრებას,  
არ ვზოგავ მამაცობასა.  
მამაცობაა, მაშ რაა!  
ამტელ ჳირს კაცი უძლებდეს?  
სულ შფოთვა, ტანჯვა ვაება  
მაშ კაცს გულს რაღა ულხენდეს?  
შავ კლდეებში ვარ ნაშობი,  
მისი მიდამოს ნაზარდი,  
და რაღათ გიკვირთ მე მის შვილს  
გულს ვერ სჩაგრავდეს რამ დარდი?  
სულ ყოველ ჯაერს კი გაუძლებ

ესა მაქვს საწუბებელი,  
საწყალი ჩემი სამშობლო

ვერ არი განათლებული.  
ამასა ვსწუბებარ და ვსჩივრებ  
ეს თან ჩამყვება სამარეს,  
რომლისა ბოღმამ და დარღმა  
გლახ გული ჩემი დაღარეს.

---


### დიდი კაცის მოჯახში.

დიდი კაცის მზარეული  
დასტრიალებს თავზე ქვაბებს,  
სადილისთვის სუჟთა კერძებს  
მიართმევენ მდიდრის ძაღლებს.  
ავერ კოხში მოხუცი წევს,  
იმ დიდ კაცის ნამსახერი,  
საწყალს შივა და სწყურია,  
ენატრება ლუკვა პური.

---

### ჩემს კალამს

შენ ხარ ჩემო კალამო  
ჩემი გულის მალამო,  
შე რაც გულში ბოღმა მაქვს

უნდა შენით ვანამო,   
შენა გხელა ჩემი ბელი  
შენ ხარ ჩემი აბელი,  
შენ უნდა ამოსწმინდო  
ჩემი გულის აბელი,  
რაც რომ ენით ვერა ვსთქვა  
უნდა შენით გამოვსთქვა,  
ზოგიერთ აზნაურებს,  
მივაყაროთ თავში ქვა!  
შეიძლება იწყინონ  
და კიდევაც გვიკბინონ,  
ჩვენ ჩვენსას ნუ დაეშლით  
დაე იმათ იღ...  
ჩვენი აზნაურობა  
ჩვენი მეთაურობა  
ისე გადაირია,  
აღარ არი ხუმრობა,  
აღარ ზოგვენ თავის ძქვებს,  
სისხლში სვრიან ხანჯალ-ჩხმლებს,  
უხვიროც ცხოვრებით  
შეარცხვენენ პაპის ძელებს.  
მათ ხელობა შეჰქმნიათ  
რაც ძელებს არ უქნიათ,  
საცა არ უთესიათ  
მათ შხირათ ექ უმკიათ.  
ჩვენი აზნაურობა

ჩვენი მეთაყრობა,  
ისე გადაირია  
აღარ არი ხუმრობა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მ უ შ ა

მისთვის დამბადა ქვეყნად უფალმა  
უნდა ვათრიო მძიმე უღელი,  
მძიმე უღელ ქვეშ გაღებულ მკერდზე  
უნდა მდიოდეს მე ოფლი ცხელი:  
წვითა, დაგვითა უნდა ვარჩინო  
ჩემი ცოლშვილი, ჩემი სახლკარი,  
და ამ წვალებით უნდა დავლიო  
სიცოცხლე შფოთვის, სიცოცხლე მწარი.  
ჩემი სიცოცხლე ეს დაწყველილი  
მოდის მითხარით აბა რასა ჰგავს?  
ცეცხლი გამომდას თვალებიდანა,  
და საკმელადა მკადი არა მაქვს.?!

№ №

სიმართლის დროშა ხელთ იპყარ  
ჩემო ძვირფასო მამაო,  
დევიზათ ნუ გაგიხდია  
ცხერის ბეჭ-მკერდების ჭამაო.

ჩვენა ვართ შენი შეილები,  
მამათ დაგნიშნა ცაშაო;  
თავის შეილების სახსნელად  
ქრისტემაც კი იწამა.

---

მ. ჭ — ძეს.

წუთის სოფელმა დაგტანჯა,  
დაგტოვა დაჩაგრულიო,  
ვინაც რომ ღმერთათ მიგაჩნდა  
იმან მოგიკლა გულიო.  
გულს ნუ გაიტეს, გამაგრდი,  
ბევრს ნუ იჯაერებ ძალიან,  
თვის ბედის უკმაყოფილო  
განა ცოტანი არიან?  
სახელად ისიც გეყოფა  
რაც გაგიზრდია მოწაფე,  
კვლავ შეებრძოლე ცხოვრებას,  
ეკლიანი გზა მოკაფე.

---

ჯგუფ ქართველი მწერლების სურათზე.

დიდება თქვენსა მაღალ ნიჭს  
ქართველთა მანათობელნო,  
ძმობის, ერთობის მღერალნო,

ზოროტის დამამზობელნო,  
 თქვენი ნანერგი ხელითა  
 ბევჯერ იგემებს ქართველი,  
 უკუნისამდე იქმნება  
 უფიწყარ თქვენი სახელს.

ნ ი ნ ა ს.

კალამს ვიღებ შენს საქებრათ,  
 ვშხით საესეგ ნაზო ნინა,  
 ქება იმას ვინც ეგრეთი  
 ხორციელად გაგაჩინა.  
 აქ ცხოვრებას რა ღირსი ხარ?  
 ღმერთთან უნდა გქონდეს ბინა,  
 ანგელოზნი გამსახურებდნენ  
 უნდა იყო ყველას წინა.  
 შენს საქებრად მე აღვძარი  
 ცოდვით საესეგ ჩემი პირი,  
 ეაი რომ ჩემი არა ხარ—  
 ამას ვსჩივი, ამას ვსტირი.

შ ე დ ა რ ე ბ ა.

თაყვანის ცემის ღირსი ხარ  
 შენ, ღიღო მაათონგლო,

ყინვისგან დამზრალ სოფელის  
სხივებით გამათბობელი  
დიდო მნათობო! შენსაგით  
შოთას მნათობელი  
ჩვენთვის ყველაზედ პირველი  
მწერლობით მახრობელი.  
მან პირველმა ჩაუყარა  
საძირკველი ჩვენს მწერლობას.  
თუმცა შეგირდთ ერა ჰბაძეს  
გაღუბვიეს მის ხელობას.  
როგორც შენ ხარ უნაკლოთ  
გაჩენიდან მალლა ცაზე,  
ეგრეთ შოთას სახელია  
დარჩენილი ქვეყანაზე.

ს. სორის მთაშიდ.

ვიშ ამ ბუნებას,  
ამის მშვენებას!  
ქელიდან დავსქერ გაკვირვებული.  
გულით ვგრძნობ ღებენას  
და არ მოწყენას  
ამის მშვენებით აღტაცებული.  
ვიშ რა მთებია!  
რა მინდერებია

იმის კალთებ ქვეშ გამოფენილი,  
და ზედ სათიბი  
ერთ ქალს ქათიბი  
უხდება, ამკობს მთელად ბუნებრივად  
მაღლიდგან დაესტკერ,  
გულს ძალზე ვაძკერ,  
ჩემთვის ფიქრებით გარემოცული.  
აგერ ხმა გახდა,  
ვსთქვი, თუ რა მოხდა,  
ნუ თუ კაცია, ხეს დაჭკრა ცულო?  
არა, კოდარა  
ხეს წამომჯღარა,  
თურმე მას გააქვს რაკუნ-რაკუნი.  
აგერაც ძერა,  
გველს დაეძკერა,  
შებმულან გააქვთ კაპუნ-კაპუნი.  
აგერაც წყალი,  
სნეულთ მკურნალი.  
ბლომად ამოჭკუხს იგი მიწიდგან.  
ბაღნი ბლომათ სეავს,  
სიციხოვლით პირს სწევამეს,  
შველას ელიან სნეულნი მისგან.  
აგერაც წყარო,  
თვალთ სანატარო,  
მოღის ჩანჩქარით ტყესა და ველზე,  
და შიგ კალმახი  
კარგ დასაწახი

იმაღლებიან ქვას ქვეშ ქეიშაზე,  
არ შემიძლია  
რაც რომ მიცენია  
სიტკბო მე მისგან იგი აღეწერო,  
ვარ უსწავლელი,  
ბნელში მყოფელი,  
უნდა შემინდოთ სრულ ვერ აღეწერო.

\* \*

არა. მე ვერ შემაშინებს  
შენი კეხნა, ბაქი-ბუქი,  
როცა არი გაენათლდები  
მეც მერგება სწავლის შუქი.  
მაშინ მეც ხომ კი გავარჩევ,  
რაა შაფი, რაა მუქი,  
მეც მაგიერს გადავიხდი  
სწავლისაგან განასუქი.

---

სჯული და სინდისი.

სჯულმა სთქვა: ჩემით დამყარდა  
სიყვარული და ერთობა,  
უჩემოთ მთელი ქვეყანა,  
მერწმუნეთ ძირს დაემხოება.  
სინდისმა უთხრა: თუ არ მე

შენ მაღლი არ გექნებოდა, შეიძინე  
უჩემოდ ყოველი სჯულის  
მცირე ეამს დაინთქებოდა.

ვაში რას ცირის?

ყოველ გაზაფხულს ვაზები  
იცრემლებიან, სტირიან,  
და იმ ცრემლებით ყველასთან  
თავის გაჩენას სჩივიან.  
დაეკითხე მე ერთ ვაზსა:  
რა გატირებს ჩემო ვაზო,!  
ყველასათვის სატრფიალო,  
ჩვენო სულო, ჩვენო ნაზო.  
მან მომიგო: მე ვეკუთვნი  
დიდ გვარი შვილს, დიდ აზნაურს,  
უყვარს ძალზე გამოთრობა,  
მერე წაჰკრავს მის ძმას პალურს,  
ის მეორეც აღარ ითმენს  
ხანჯალს იძრობს ძმის საკლავათ,  
ამას ყველან მე მამბრალებს,  
მანსენებენ დიად ავათ.  
ყველა ამას გაიძახის:  
„გაქრეს ვაზო შენი ძირი!“  
კიდევ გასჭრა მათმა წყველამ

ბევრგან გაჩნდა ჩვენი ქირო.

მითხარ მე რა შუაში ვარ?

თვით არა აქვთ თვისი ზომა.

კაცმა როგორ ვერ დაგვის

ვერც დათრობა, ვერც ვაძლომა?

ამას ვსწუხებარ, ამას ვსწივი

და ვსა მაქვს სატირალი, ბე

გაზაფხულზე ისუყოველთვის

არ გაშრება ჩემი თვალი.

ანგელოზი რომელი მიყავს

თბილისს და იმდროის პე

შ ა რ ა დ ა.

მეორეს ვერც ვიცი ითბე

თივეს ვერც ვიცი რომელი

პირველად ფრინველს ეწოდებთ

ლამე ჰერენა მსხვილ თაეიანი,

თვალადათ ულაზათოა.

და არ საამო ხშიანი.

მეორეს პირუტყვს ეწოდებთ,

გლეხისთვის არი მშრომელი,

ბოლოს ჰკლავს, ცოლშვილს შეაქმევს

სიკეთის დაუხსომელი.

ამის მიხვედრა მით უფრო

არ არი გასაჭირია,

ყოველ უკერო ოთახებს

ის უსაცოდოთ სჭარია.

გაზაფხულზე ისუყოველთვის (ბუსხარი)

შარადა.

პირველად ორ ასოს ვიტყვით/  
როს ცუდი სუნი გვეცემა,  
აგრეთვე შეშას მას ვიტყვით  
თუ ცეცხლი მას არ ეგზნება.  
აქ ერთ ასოს გამოესტოვებთ  
და ერთი სიტყვა ითქმება!  
სახლი ყოველი უმისოთ  
კაცის უხმარი იქნება.  
ეს სიტყვები და ქვეშ ასო  
ერთი პატარა მწერია,  
პირველ ორ ასოს რომ ვიტყვით  
შემდეგ ეს ასო (ტ) სწერია,  
თუმცა მწერებიც ბევრია  
ამის მზადივი ძვირია.  
მკედარსა და ცოცხალს ყოველ კაცს  
მისი ნაღვაწი სჭირია.

(ფუტკაჩი.)

კრწანისის ბრძოლა.

(გუძღვნი აღ. ბაქრაძეს)

აღა მაჰმად ხან წყეული  
აღმხედრდა საქართველიაზე,

და თბილისს ახლო ბანაკი  
გამართა კრწანისის ველზე.  
დღე დღეზედ ელოდებოდა  
როს შემებმება კახი.  
ამბობდა: „სპარსეთის ჯარით  
სულ ლუკმა ლუკმა დაეხიო“.  
ამ დროს, ირაკლი, მოხუცი  
ოთხმოცი წლის იქნებოდა,  
ნამეტანი სიბერისგან,  
ბეჭებშია იხრებოდა.  
რა გაიგო თათრის მოსვლა  
უბრძანა მეფემ მდივანსა:  
„წადი ჯარი შემიკრიბე,  
ვებრძოლოთ ჩვენზე მჩივანსა.“  
მდივანი ადგა, წაეიდა  
და უთხრა ქართველს უყელასა:  
ჯარში არეინ გამოხვიდეთ  
თუ ელით ღეთისაგან შევლასა.  
თათარი შემოგვესია  
ოცი ათასზედ მეტია,  
ისე გაგეთელენ ქართველებს  
ვით ბამბას რკინის კეტია.  
ერეკლემ ეს რა იცოდა,  
რაც რომ მდივნისგან ხდებოდა.  
რა იცოდა თუ რომ ციხე,  
შიგნიდანვე გაუყდებოდა?

თურმე ქართველი მდივნება  
სომეხ ვაჭართ მოექრთამათ,  
მათ უნდოდათ გმირთა გმირი  
სპარსელებისაგან ფწამათ  
მრავალი მხედრის მაგვიერად  
სამასი გმირი მოჰგვარეს,  
რომლის ნახვამ ირაკლის  
თვალეზზე ცრემლი მოჰგვარეს,  
ერეკლემ უთხრა სამასს გმირთ:  
„ხომ ხედავთ ჩემო ძქანებო,  
ალა მაჰმადს სურს გავექცე  
და სამშობლო დავანებო,  
ეს თქვენც იცით ყმაწვილურად  
აღარ გასჭრის ჩემი მკლავი,  
თქვენ მომყევით ბრძოლის ველზედ,  
მე ვიქნები თქვენი თაფი,  
მინაჲ ძარღვში სისხლი გვიჩქებს,  
იარალი მ ივიხმაროთ,  
შევებრძოლოთ ამ ურწმუნოთ,  
და სიცოცხლე გაუშწაროთ...  
ერეკლეს სიტყვამ სამასს გმირთ  
გულში აუნთო ალები,  
და სამასივემ ერთბაშათ  
ყველამ იშიშვლეს ხმალები.  
ერთ ხმით შესძახეს, შეჰკიეღეს,  
გაუმარჯოს ერეკლეს,



გულადობა, სიმაძაძე  
 აბა ჩვენი გიჩვენოთ დღეს.  
 წინ ერეკლე, უკან გმირნი  
 ეკვეთნენ თათრის რაზმებსა,  
 მედგრათ ჰკვეთავენ, სიწებედენ,  
 თათრების ხორცსა და ძვლებსა.  
 ოცო ათასთან სამასი  
 შიბნარით რას გახდებოდა  
 როდესაც კლების მაგიერად  
 მტერი უფრო მრავლდებოდა.  
 ერეკლე ძალზე მოხუცი  
 იბრძოდა გალომებული.  
 სამასი გმირი მოუკლეს  
 მით უფრო გამჯაფრებული.  
 ათასი კაცი ერეკლეს  
 ხმაღ და ხმაღ შემოსდგომოდენ,  
 და გმირთა გმირის დაქერას  
 სიცოცხლეშივე ღამობდენ.  
 ერეკლემ თათრებს შესძახა:  
 „ტყუილად ირჯებით ჩემზეო,  
 მე ცოცხალს ხელში ვერ მიგდებთ  
 მინამ ღამნათის თავს მზეო“  
 იგი ხმაც იყო და ხმალი  
 თათრების უფროს კისერს სცა!  
 რომლისა გვამი უსულოთ



ES 3545

და უპატრონოთ დაეცა.  
მასა სურდა რომ თათრის ჯარს  
სამშობლოს თვის შეჰკლამოდეს.  
ამისთანა დღე ირაკლიმ  
არა ჰქონია არასოდეს.  
ირაკლი მზნე და გულადი,  
ძლიეს გამოსტაცეს მტერს ხელში,  
თორემ ირაკლის გაქცევა  
არა სჩვევია მის დღეში.  
წუთის სოფელი ურწმუნო  
არაეის მისცემს ღებნასა,  
ათასჯერ გამარჯვებულსა  
ერთჯერაც მისცემს წყენასა.

### თბილის ჩივილი

წმინდა აღდგომაც ისე წავიდა,  
რომ არაფერი გამიხარია.  
სულ აღარ მწანს აღარაფერი  
ლამაზის ცქერაც ჩემთვის მწარეა.  
მით გავიხარო, რომ შევიკერო  
ძვირფასეული ფარჩეულობა?  
ვერ გამახარებს, იმისი ჩაცმის  
სულაც არა მაქვს მე ჩვეულება.  
მაშინ ესარობდი, მაშინ ელალობდი.

როდესაც მამა ცოცხალი მყავდა,  
ტურფა თვალადი, მტერთ რისხვის მცემი,  
წმინდა ანგელოზს საწყალი ჰგავდა,  
დიდ პარასკევსაც აღდგომამ მქონდა,  
როს მამა ჩემი ჩემთვის ზრუნავდა,  
ვინც გაბედავდა ცულის ქნას ჩემთვის  
მამაც იმასთან რხმალით ჰზრუნავდა,  
ამ დროის მამგონს რა გამახარებს,  
ერთი მითხარი ჩემო ძამია?  
ჩემს მამინაცვალს, აქ გაუმაძღარს,  
თუ რამ გამაჩნდა, შეუქამია!

თ. რაფაილ ერისთვის 50-წ. იუბილეის გამო.

ჩემი პატარა ქვეყანა  
რაჭათა წოდებულია,  
თავადან ბოლომდისი  
სიბნელით მოდებულია.  
ვიცი რომ გიყვარს მთიელთა  
ხასიათ ჩვეულებანი,  
გძულს მათი მტარვალ მძარცავი  
და გიყვარს მათი შევბანი.  
გაუნათლებლათ ვაგდივართ,  
არაეინა გვყავს პატრონი,  
ვებრძვით და ვებრძვით ღრმა ტალღებს

ველარ გვინახავს სხვა ფონი.

ჩვენი რაჭაა მთა გორა

ალმართ-დალმართი კლდოვანი,

ზამთარ ზათხულ შემოსილი

თოვლიან ყინულოვანი

აქა ბუდობენ ორბები

მიუდგომელსა ღრე კლდეში;

წყარონიც მოჩუხჩუხებენ

გადმომდინარნი ქვესკნელში.

არ გაესცლი სახლსა კლდეებსა

უკვდავებისა ხეზედა\*.

არც მე ვსცელი ჩემსა სამშობლოს

სხვის ქვეყნის სამოთხეზედა.

თქვენი ჩანგურის ქლერანი

აღვიძებს ჩვენსა მხარესა.

საწყალთა მჩაგვრელს ვაჭბატონს

უქადის უფრო მწარესა.

თან-თან სხივი მოგვფინე

იკურთხოს შენი მარჯვენა,

გადავებვიო, ვაკოცო

ნეტავი ერთჯერ მაჩვენა.

ეგ მარჯვენაა ლამპარი

მანათობელი ერისა,

ორმოცდა ათ წელს რომელიც,

დაუდგომელად მღერისა.

მისთვის თაყვანს სცემს ყველანი

სადაც კი სცხოვრებს ქართველი  
უკუნისამდე იქნება  
თქვენი ქება და სახელი.



ნეტაი იმ სულს

რომელი სულიც  
სამშობლოსათვის შეწირულია,  
და მისი წმინდა ღვთაებრივ სისხლი  
სამშობლოსათვის დათხეულია.  
ჩემო სამშობლოვ მრავალ ტანჯულო  
დღეს სადა გყვანან ეგრეთი შვილნი?  
რომელნიც თვის სულს შენა გწირავდენ  
და იყვნენ შენთვის თავდადებულნი,  
ეხლა ამისთვის ვილას სცალიან!  
მხოლოთ კუჭისთვის მძლავრად იღრწვიან,  
და მტრისა ნაცვლათ ძმა ძმისა სისხლით,  
მინდობნენ ველნი უხვათ ირწყვიან.  
სანჯალ-თარ ხმალნი თუმცა დაეიწყდნენ,  
ნაცვლად მათისა იბრძვის კალამი,  
უსამართლობის აღმოსაფხვრელად  
ნუ არის მორცხვი, იყოს თამამი.  
იმა კალამსა არეინ არი აქებს,  
რომ იმან ბეერი რამე დასწეროს,  
საქები არი იგი კალამი,  
რომელმაც ჩვენთვის მართლად იქღეროს!

უბისკობოზის ვაზრიელის ვარდაყვებლების ვამო.

---

დაღუმდა ენა მკვერ მეტყველისა,  
რომელსაც ძმისთვის უცემდა გულს,  
უსამართლობის მებრძოლი მუღამ,  
და ერისათვის თაედადებული.  
წმიდათ წმიდაო, მწყემსო კეთილო,  
ჩვენ შენი მსგაესი ვინლა გვშენია?  
შენის იმედით ჩვენ ვდიდგულობდით  
ასე ვფიქრობდით: აწმყო ჩვენია.  
წმინდათ წმინდაო, მწყემსო კეთილო,  
შენ იყავ ჩვენთვის ბურჯი მაგარი,  
ხორციით თუმც მოკედი, მაგრამა სულით  
არა ბრძანდები, არა ჟამს მკედარი.  
დაობლდა ერი შენის საკვდილით,  
მისთვის გოდებენ თქვენს მიცვალებას,  
მისთვის არიან დღესაცა თვალნი.

---

ჩემს ქვეყანას.

შენი წასული  
რომ მაგონდება  
გული მიშფოთავს  
და მიღონდება.

მიკვირს სით უძელ  
ამტელ ვაებას?  
თუ არ წმინდა სჯულს  
და სახარებას,  
არ დაეფაროს  
შენი დიდება,  
დრო ბევრი წავა  
ბევრიც იქნება,  
შენი სახელი  
არ დაეიწყდება.

დღედა იქნება

მე დაღედავ შენი  
თუ მწამს გამჩენი!

არ დამაეიწყდეს ზრუნვა და ღვაწლი,

თუ დამაეიწყდე,  
ყოლიფრით გავწყდე,

პირიდგან მდინდეს შხამი და ანწლი.

მე რაც კი ესცანი  
ორი ანბანი

ის არი შენგან მომადლებული,

შობით სიმწარე,

შენ არ იკმარე,

ჩემთვის შენ იქენ თავდადებული.

მე მახსოვს დედი,  
მამასთან მიდი  
და იმას უთხარ, ეს ჩვენი ვანო:  
უნდა თბილისში,  
ან ქუთაისში  
სასწაულებელში შენ წაიყვანო.  
მანც მოიწინა,  
რა გაიგონა  
სიტყვა ცოლისგან გამორჩეული.  
მამა ჩემს საწყალს,  
იმ მუშას, დამშრალს,  
სახე შეექნა გაბრწყინებული.  
გულრით გინდოდათ,  
იმედიც გქონდათ,  
შეილი გენახათ განათლებული.  
ვერ გამოძელით  
ლარიბრს ხელრით  
მით შეიქენით დანალვლებული.  
ორ წელს კი მიძელთ,  
და ხელიც მიწყვეთ,  
შემდეგ რა ნახეთ თქენც გაჭირვება,  
შინ მომიყვანეთ,  
დამსვით მეყანეთ  
კაცს რაც მოუვა ბედით იქნება.  
ბიძამ მიშვილა,  
მითი მეშველა

არ დავივიწყე ანი და ბანი  
ვიწყე წიგნთ კითხვა,  
ბევრმაც გამკიცხა,  
აგორჩევია ძნელი საგანი.  
ვიწყე მე წერა  
რამ გაგაშტერა  
ესეც კი ბრძანა: ზოგ ზოგი ერთმა  
ლუარსაბში კი  
მითხრა არაკი:  
მისდიე მაგ წრეს გიშველოს ღმერთმა.  
მას აქეთა ვსწერ  
ფულს ძალზე ვაძგერ,  
რაც შემიძლია ავსა და კარგზე,  
მინამ ვიქნები,  
არ დავინთქები,  
ამ საგანს ვარჩევ მე ქვეყანაზე.

ჩ ე მ ი ს ბ ა ს უ ხ ი.

ვითომ რაღა, რომა ევაქრობ:  
მიტომა ვარ დასაძრახი?  
წამოდგება ილანძლება,  
ზოგიერთი ის ახმახი,  
თუ რომ იმას ჭკუა ჭქონდეს  
მას დუქანში რა უნდაო?

იქ ვაჭრობას ურჩევნია  
ზურგზედ ეკიდოს გულაო.  
მეც კი ვიცო ჩემო ძმაო,  
ხშირათა ვარ გაღანძღული,  
მაგისტანა ენისაგან  
მიწაშივარ დამარხული.  
მირჩევნია ცხენზე შევჯდე,  
დაეკიდო მე ლეკური,  
აქეთ-იქეთ ვიტანუალო,  
არა მქონდეს ლუკმა პური?  
მირჩევნია კაცის ჩეხა  
დავდიოდე მუდამ მთვრალი,  
და ან თუ გაუარშიყდე  
სადაც დავინახო ქალი?  
არა ძმაო, არა ძმაო,  
მე მაგ აზრზე ვერ დაედგები,  
თუ ეგ რჩევა დაგიჯერე,  
ყოველად ცუდი შევიქნები,  
მაგისტანა აზრზე მსვლეელი  
მტერი არის მთელი ქვეყნის.  
პატოხსურად ვაჭრობა,  
კაცის ნამუსს სულაც ვერ რყენის.  
წმინდა სული, წმინდათ რჩევა,  
თუნდ ტალახში იყოს ფლული,  
ყველასათვის კეთილი მსურს  
მიყვარს ჩემებრ დაჩაგრული.

თ ო ტ ს.

თოფი არ მინდა სიათა,  
არც მისი ჭეჭა ქუხილი,  
მტრის გულში გამომიზნება  
ვა თუ დასცდეს თქო წუხილი.  
ალარ მაწუხებს უსჯულო,  
გაშაგებ გამოხუხული,  
სწაელაა ჩემთვის საჭირო,  
ზნელით ვარ შემოზღუდული.

ჩემს პატიარა მმას.

ისწაელე ჩემო ძამია,  
ისწაელე ჩემო კოწია.  
სწაელამ რომ ზედაე ძამიკო  
ქვეყანა წინ წამოსწია?  
კაცი უსწაელი, ძამიკო,  
პირუტყვზე უფრო მდარეა,  
მისი სიცოცხლე ძმაოჯან  
ტანჯვა და სულ სიმწარეა.  
ეცადე ჩემო ძამია,  
მიაპყარი სწაელას ყური,  
შენს სამშობლოს საქართველოს

გაუწიე სამსახური.

ჩემი ქვეყნის სიყვარულმა

კალამი აძაღებინა,

მაგრამ უსწაელოობამ

გლახ ხელი შემაშლევინა.

ზარმაყს.

აჩა ღირს კაცის სიცოცხლე

უშრომელ უზრუნველისა,

ის რა კაცია, ვინცაა

შემჩერე სხვისი ხელისა?

იგი მსხვერპლია როცაა,

შიმშილის კუკას მწველისა,

უფალიც ბრძანებს: ზარმაცი

ღირსია სატანჯველისა.

ჩემს სამშობლოს.

მე მრცხვენის ჩემო სამშობლოვ,

რომ შენს ზურგზედ დავდივარ

მიზეზი მისი ძვირფასო,

რომ მე შენ ვერას გარგივარ.

რაც უფრო სნეულით გიცქერ

მით უფრო გული მიკედება,  
მე ჩემსა გულში ვიწვები,  
მას კი ვერაფერ მიხედება.



ა კ ა კ ი ს,

ზეციდან მოვლინებულთ  
ზეგარდმო მადლით ცხებულთ,  
დაუღალაევო მოღვაწევ,  
ქართველ მწერლებში ქებულთ.  
ქართველთ მელექსეთ მეუფევ,  
მდიდარი ნიჭის პატრონო,  
შენი სამშობლოს მოყვარევ  
მისს ჭირს ვარამის ამწონო.  
იკურთხოს შენი მარჯვენა,  
დაუღალაევო მშრომელო,  
ბოროტის ამომთურგენელო,  
კეთილის წარმამშობელო.  
შენის იმედით დიდ გულობს,  
ღღეს ერთი მუჟა ქართველი,  
თუმცა მტერებიც გყოლიან,  
ხანდახან გყავენ მძრახველი,  
მაინც შენ იმედს არა სტეხ,  
შრომობ შრომასევე ჩვეული,  
მრავალგან ბრუდეს ასწორებს  
თქვენი ძვირფასი შეეული.

შოგიერთებს.



რას იპრანქები, რას იგრიბები,  
განა თითონ შენ კი ვერაზხედები  
ერთ მინუტს ცხოვრებ ამა სოფელში  
შემდეგ ვითა სხვა ეგრეთ მოკვდები.  
მთელი ქვეყანა იყოს თუნდ შენი,  
მაინც ერთი გვეყავს ყველას გამჩენი,  
იმას სუყველა ერთად მიაჩნდის,  
გლაზაკი იყოს, თუ გინდა ბრძენი.  
იმას ნუ ფიქრობ შენ მეტი იყო,  
ან სხვა ნაირად გაჩენილ იყო,  
ორივეს ძმაო ჩვენი გამჩენი  
ცისა და ქვეყნის გამჩენი იყო.

ს ა ტ რ ფ ო .

ის ჩემი სატრფო, ის საყვარელი,  
სხვამ მიითვისა ერთ ღროდან ხელში,  
ქვეყნათ აღარ მაქვს რა სახარელი,  
უნდა ვიტანჯო ჩემ სიცოცხლეში.  
მინდა ჩემს სატრფოს უნდა უშველო,  
მაგრამ ხელი მაქვს ტაჭვით შეკრული!  
რო არ უშველო არს უსაშვალო,

თორემ ვიქნები მუდამ ბედკრული.  
მიტომ ამტელ ხანს ვერა გაგებდე,  
რომ იმას ბევრი დაეპატრონა,  
არ იქნა ერთჯერ თავს ვერა ვაბდედე,  
რომ რაც ეყოფილება მგისც ვახსოვნა.

### გლეხის ჩივილი.

დამისნეულდა მამული,  
ჭია ღუა დაესია,  
ნაყოფს ისე არ იძლევა,  
როგორც ზიგი და წესია,  
ფილოქსერა არ უსვენებს,  
არც სხვა და სხვა ჯიშის მწერი,  
ნობათობით წვენსა სწოვენ  
ყველა გახდა იმის მტერი.  
ბუნებასაც აბრალებენ,  
ღმერთსაც იქვი შეუტანეს,  
ტყუილად ცილს ნურას სწამებენ,  
ჭირა თვითვე მოუტანეს.  
არ ვამტყუნებ მე ჩემს მამულს,  
რომ ნაყოფი ცოტა მომცეს,  
იგი მისი რა ბრალია  
ორმოცდა ათს რომ არ გაგებდეს?

გაშათხული.



ამწვანდა ტყე და მინდორი  
რა ზამთარს სული გაეკრდა,  
ზე არსმა ქვეყნად მყოფელმა  
ჩვეულად გაინაეარდა.  
ყვავილთ შეამკეს მინდორი,  
პეპლები თავს დახარიან,  
ბავშვები იმათ იჭერენ  
მათ ტანჯვით დამტკბარ არიან.  
შაშვები ზღუდეს შემოჯდენ,  
იზმორებიან, ხარობენ,  
არშიყნი ურთიერთისა  
შორი ახლოდგან გალობენ.  
ჩიტებმა ბუღის კეთება  
თებერვალშივე დაიწყეს,  
მარტამდი ბუღე აკეთეს,  
მარტში კვერცხები ჩაიწყეს.  
ნახირი მწვანით გამძლარნი  
მოდიან ბლუილ-ბლუილით,  
იმათ ხმას აძლევს ანკარა  
ჩამომდინარე შხუილით.

ომლის ჩივილი.

მეუბნებოდენ: რა გიჭირს,

კარგი გყავს მამინაცვალს,

ამ ჩენს პატარა კუთხეში,

ერთიც არა ჰყავს მას ცალი.

მართლაც პირველად რომ ვნახე

პატიოსანი მეჩენა,

სულ ჩემდა სანუგეშებლად

აატარტარა მან ენა.

„მამასავით მიგულებდე

ქირში იყოს თუნდა ღზინში,

შენი ცული საქმისათვის

შეგებმები ყველას პარში.

მე ვიზრუნებ შეილო შენთვის

მე ვიქნები შენი მამა,

ყველას შხამათ ამოვადენ,

ვიმც რომ შენი მუქთათ ჭამა.“

მივენდები მამინაცვალს,

ალარ ვუგდე მამულს ყური,

რომ გავიდა ცოტა ხანი

მაგრად შჩანთა მან პანღური.

(აქედან)

გ ა მ ო ყ ა ნ ა .

ერთი უსულო საგანი  
შეიქნა ქვეყნის მპყრობელი;  
რომ მის ძალს თაყუანს არ მსჯემდეს.  
კაცი ვერ ვნახე რომელი.  
იმ უსულ ხორცო საგანის  
კაცი შეიქნა პატრონი,  
და ის უსულო საგანი,  
თვით კაცის არის პატრონი.  
ხშირათ უსულო საგანი,  
თავის პატრონის მკვლეელია,  
და თუ პატრონი ფრთხილია,  
მაშინ კი იმის მცველია.

(ფული)

ს. მაისაშვილს.

ძმაო სიმონ წავიკითხე  
ლექსნი შენგან გამოთქმული.  
რა ეიცანი შენი იყო,  
გამინათლდა რაქველს გული.  
ესთქვი: მოდი იმედს არ დაეჭარგავ,  
მეც მივალწევ ჩემს საწადელს,  
არ დაეაგდებ საწერ კალამს,

გამომიწუდის ვინმე მეც ხელს.  
შენს ლექსებში წაეკითხე  
შენი ჭმუნვა, შენი კენესა,  
ჭმუნვის გარდა იმედებიც  
ტანჯულ გულში ჩამეკვესა.  
მეც შენსავით უსწაელივარ,  
ვიმყოფები ძმაო ბნელათ,  
ამას ვსჩივი, ამას ვსწუხვარ,  
და ესა მაქვს სადარდელათ.  
ჩემს საქმეს რომ გავათაყებ,  
ვიწყებ ხოლმე ლექსთა წერას,  
ბევრი მასაც მეუბნება:  
ნეტა მამიშენის კერას,  
მაგის წერას გირჩევენია  
ორ გროშს თავი მოუყარო,  
შეჯდე ცხენზე იქეთ აქეთ  
ისეირნო, გაიბარო.  
მე ჩემს იმედს არ ვუმტყუნებ,  
ხელს არ ვუშვებ საწერ კალამს,  
როცა არი სიმართლისკენ  
ის თავის გზას გაიკვალავს.

შოშაძე.

ქრისტეს შობაა, ყოველ სახლიდგან  
ისმის სიმღერა, ისმის ხარხარი,  
ქართველებისთვის წმინდა დღე არი,

მიტომაც არი ყველა დამტყდარი.  
ყოველ კერაზე ცეცხლი გუზგუზებს,  
ზედ უფიცხია ღორის მწეადები,  
წინ სუფრა არი გაჩაღებული,  
დაეწყებია დღეს ხალხს დატყდები,  
შეექცევიან, მხიარულობენ,  
მრავალჯერ სცლიან კათხებს და ყანწებს,  
გადაულევენ „ალავერდია“  
ვინც არ გამოსცლის ეტყვიან ბრანწებს.  
აგერ აღილოც შემოაუკიდეს,  
ეს ძველი კილო ძველი ვალობის  
გასათხოვრებმა დაირა დაჰკრეს,  
ერთი გოგონა ცეკვით გამორბის.  
ამ დროს სადღაცა ათონის მთაზედ  
დაჩოქილია ვილაცა მღვდელი  
ხელაპყრობილსა საკურთხეველის წინ  
ცრემლებითა აქვს წვერები სველი.  
ღმერთს ევედრება, რომ იმის მოძმეთ  
არ შეერცხეინათ პაპათ საჯლაფი,  
ისეთი საქმე არ ჩაედინათ,  
რომ ყოფილიყოს დასაძრაბავი.  
ღმერთო, ამყოფე ქართველნი ერთ სულ  
ღმერთო! მიეცი იმათ ერთობა,  
შენ დაიფარე კუდი მსხვერპლისგან  
ჩაომლით ქართველნი ხშირათ ემზობა.,  
ასე ილოცდა მოხუცი მღვდელი

ამა სოფლისა უარ მყოფელი,  
ველარ გაუძლო ბილწთა ყურებას,  
მიტომაც დაჰგმო ესე სოფელი.  
მასთან არღა მხიარულებას,  
მას აღარ ესმის შრაყად წამიერ,  
სუყველაფერი ამაოაო,  
წარმავალია, ყველა წამიერ.  
მე უსწავლეღმა წარმოვიდგინე:  
რომ დამეწერა იმ მღვდელზე ლექსი,  
იგი მღვდელია გეარათ ბაქრაძე  
და სახელია მისი ალექსი.

\* \*

დღე შენი შეიღნი,  
ვით მატლნი, მჩვილნი,  
ერთმანეთს მტრობენ ერთმანეთ სძრახვენ,  
თუ დაახეღეს,  
დაითაუხეღეს,  
თვისთა მოძმეთა მიწაში მარხვენ.  
ამ დროს დედები  
ცუდ თაუხედები,  
თავის ნებაზე დანავარდობენ,  
თვის პაწა შეიღთა,  
უმანკო ჩვილთა,  
ხსნიან ძუძუსა პირში უღებენ.

შარადა.

პირველად მწვანილს ვუწოდებთ  
სუნი ვერა აქვს ქებული;  
თეთრ ყვავილებით იმოსვის  
ოდეს არს დაბერებული.  
ამ სიტყვის შემდეგ ითქმება  
რესთან რომ ასო სწერია,  
ბოლოსაც ერთი სიტყვაა,  
ფიქრი არ უნდა ბევრია,  
რომ უიმისოთ ცხოველი,  
არცა რომელი ერია,  
საუნჯე არი ძვირ ფასი,  
სადაც ჩახედვა ძნელია,  
კაცისთვის უძვირფასესის  
კოლოფი შემნახველია.  
სუყველა ერთათ ნივთია  
ქალის თავსრაკზე სობილი,  
ქართველი ქალი არ ვარგა  
უმისოთ გამოწყობილი.

(ქანძის თაჯი)

მართლის თქმისთვის.

მართლის თქმისთვის მე ვავიგე,  
თურმე ერთი მემუქრება!

სიმართლვე რათ დასწერაო,  
ვატბატონი ჩემზე სწყრება.  
სიმართლის თქმას არ მოვიშლი,  
მინამ პირში მიძევს ენა.  
და კალმითაც სხეას ვაუწყებ,  
თუ არ დატკნა ჯერ მარჯვენა.  
ვის რა უნდა ის დაშარქვას;  
გინდა ჯორი, გინა ვირი,  
მინამა ვარ მე უკაცხალი,  
სიმართლვეს სულ მაინც ვყვირი.

ერთ ვასათხოვარს.

მოფრინდი მუხაე ლექსის წერა მსურს,  
ღმერთო. მომეცე ნიკი და ძალი,  
რომ ღირსეულათ შემამკობინო,  
ვასათხოვარი ერთ ვინზე ქალი.  
მიკვირს რას ანობს ცოდვილი პირი,  
როგორა ჰბედავს ამტელ ყბედობას?  
მითხარ სით ძალუძს ამ მცირე კალამს,  
რომ ურცხვათ ჰბედავს იმის შემკობას!  
სახელად ჰქეია იმას ანიჩკა,  
ვისზედაც მსურს მე ლექსის წერა,  
დიდი ხანია მისმა სიტუროფემ,  
ბევრი დაატკნო და დაანელა,

საქებაარია მისი სინაზე  
ვით ანგელოზის უმანკოება,  
და სინარნარე მოქმედებისგან  
უფრო ეძლევა იმას შნობა,  
ყირმიზ ლოყებზე რომ ვაჩვენებდი,  
რძეი და ღვინო მამაგონდება  
ფეიქრობ: ნეტავ მას ვისიც ეს იქნეს  
მას აქვე ელის ტკბილი ცხონება.

ჩემს ლექსებს.

ვარი ჩემო ლექსთა კრებაე  
რა უბრალოთ დავშერი თქვენზე!  
დაბეჭდილი ვერ გიხილე  
უნდა შეგდეს მალლა სხვენზე.  
უსწავლი ვარ, მაგრამ მაინც  
არა ეზოგე თქვენთვის ძალა,  
მოვსტყუედი და ტყუილად ებლაჯნე,  
უხმრათ ჰყრიხართ როგორც ჩალა.

ს რ ა კ ი.

იყო ერთი თეთრი ცხვარი,  
დღეში ორჯერ იპარსავდა,  
და მის პატრონს წინდა პაიკს

სამოსელსაც მიართვამდა,  
შავი ცხვრებიც ბევრი იყვნენ  
ზოგი კოჭლი და ზოგი ბრმა,  
მატყლიც ცუდი ექნებოდათ  
ალარ გინდათ ამაზედ, თქმა, <sup>1013</sup>  
პატრონს თეთრი შეუყვარდა  
მეტს სარგებელს რომ ხედავდა,  
შეუყვარდა სულით, გულით,  
ცუდს ვერაფერს გაბედავდა.  
აიმრიზენ შავი ცხვრები,  
თეთრს დაუწყეს საწყალს ჩხუბი,  
საითკენაც კი წაეიდა.  
გულს ატაკეს გრძელი შუბი!  
თეთრმა ერთი კი წარმოხსთქვა,  
ვიცი რისაც ბრალიაო,  
თუ მე ჩემს პატრონს უყვარვარ,  
იყვნენ სხვები მწყრალიაო.  
ერთი წიხლი გაეიქნია,  
მათ აურევ შიშით გზა კვალს,  
იმათ აბა რა მოეთხოვო,  
დაჰყოლებენ ჩემს ნასუფრაღს.  
კიტამა და სილოვანმაც  
ხელი წაჰკრეს ბატონ აკაკს,  
აკაკიც მათ საპასუხოდ  
მოახსენებს ამ ჩვენს არაკს.

---

შ ა რ ა დ ა.

პირველად ფრინველს ვუწოდებთ  
ვერ არის კარგი ხშიანი,  
არც ტანადობა უფარვა  
არცაა ლაზათიანი,  
თუ სადმე მძოვრი აგდია,  
ის მაშინავე გაიგებს,  
ბატის ჭუკებსაც მინდერიდან  
თუ ნახა ხშირათ წაიღებს.  
ამ სიტყვის შემდეგ, ჯერ „ლასი“  
და მერე „ანი“ ითქმება,  
სულ ერთათ მცენარეს ნიშნავს,  
არს გაზატხულის დიდება.  
ზატხულში ხარობს, ზამთარში,  
ზსენებაც აღარ იქნება.


(ყვავილი)

გაუქმადლარ თვალს.

თვალო, ნუ მიხვალ შორისკენ  
ნუ გინდა სხვისი ბუდეო,  
შენი სურვილის განსაზღვრას  
ქვეყნათ არა აქეს ზღუდეო.  
შენი ამყოლი კაცუნა,  
მრავალჯერ გააცუდეო,  
ადამ და ევას პირველათ  
შენ დაუქციე ფუძეო.

შობა ქრისტესი,

დიდმა მეფემ ბეთლემისამ  
გამოსცა ერთჯერ ბრძანება: **შეიკრიბონ**  
ბეთლემს ყველა  
მათი აწერის მაქეს ნება.  
უნდა გაეიგო სამწყსოსი  
რიცხვი და რაოდენობა,  
თავი ეამხილო ხელმწიფეთ  
და უნდა იყოს ჩემობა.  
ბრძანება გასცა თუ არა  
დაიძრა ხალხი ყოველი,  
ყველანი ბეთლემს მივიდა  
გლახა, ბრძენი და მთხოველი,  
მათ რიცხვში იყვნენ მარია,  
იოსებ ნაზარეველი,  
მარია მანდა ქალწული,  
მარია მღვთისა მშობელი.  
ხალხთ სიმრავლით ქალაქ ბეთლემს  
აღარ იყო კაცის ბინა,  
ვისაც ფული არა ჰქონდა,  
უნდა წასულიყოს შინა.  
მარია და იოსები ითვიან  
შორე იყვნენ თავის სახლზე,  
არცა ჰქონდათ კაპიკი

და გაუდგნენ მიტომ გზაზე,  
მღეთის მშობელი და იოსებ  
მიწენენ ბეთლემს ახლო ქვაბში,  
შუა ლამეს ქრისტე იშვა,  
მიაწვინეს მათ ბაგაში.  *სადაც ყოვლად წმინდა იშვა,  
იმა აღგაღს მწყემსნი ჰვლობდენ,  
ცუდი ქექვა ქუხილის დროს  
საძინებლათ იქ დაჰყოფდენ.  
და რადგანაც იმა ლამეს  
იყო ძრიელ კარგი დარი,  
იმისათვის გარეთ დარჩენ  
არ ეძიეს შესაფარი.  
მხოლოთ ოდეს ქრისტე იშვა,  
მწყემსთა იგროძენეს შიში ძნელი,  
მივიდა და წინ დაუდგა  
ანგელოზი გაბრიელი.  
ნუგეშინით ცოდვილებო,  
სიტყვა გითხრა სახარელი,  
ქვაბსა შიგან ქრისტე იშვა.  
რომელია სოფლის მხსნელი,  
წამოვიდნენ ქვაბში მწყემსნი  
და მაცხოვარს თაყვანი სცეს.  
რაც მათ კარგი ნივთი ჰქონდათ  
საჩუქარათ უფაღს მისცეს.*

ძველ მებაცონეს (უსწავლოელს).

ახალს ცხოვრებას მიემართათ,  
შენც იცი ძველი გაფრინდა,  
დღეს ცხოვრებისთვის რაცა გეჭირს,  
მე მოგახსენებ თუ გინდა.  
დილაზე ადრე წამოვდგეთ  
თოხი ხელში დავიჭიროთ,  
პატროსნათ ვიმუშაოთ,  
საქმე არვის გაუჭირვოთ.  
ხანჯლის პრიალს ხელი უშვათ,  
ნაცვლათ ვიპყრათ ხელში ცელი,  
ლეკურს თავი დაეანებოთ,  
ნაჯახი სჯობს ყუა სქელი,  
ხანჯალ ფარ ხმალმა დაჰკარგა,  
თაე თავიანთი ღირსება,  
ჯერ ძირს დაედვათ, კელაე ხელთ ვიპყრათ,  
თუ რომ დროებამ ინება.  
დღეს ცხოვრება აღარა გვაქვს,  
უწინდელი ბატონ ყმური.  
ვლებმა ბატონს, ბატონმა ყმას  
გაუწიოთ სამსახური.  
იგი დროება გაგვექცა,  
გაგვექცა ღვთით გაგვიფრინდა,  
რომ ბატონი თავის ყმასა

ვითა ცხვარი გაჰყიდილდა.  
ის დროება აღარა გვაქვს,  
როს ყოველ დღე შიშში ვდგებით,  
დღე და ღამე მოუსვენრად  
ყოველ მინუტს სისხლის ვეღვრებით.

ქუთაისს.

მრავალი ჭირის მნახველო,  
ნაშენო ქართველთ ხელითა,  
მთა გორის სისხლით მორწყულო,  
დაცულო ოფლით ცხელითა.  
შენი გულისთვინ ქართველნი,  
მრავალ ჯერ ტანჯულ ვნებულან,  
თუმც ტანჯვა ბევრი უნახავთ,  
მაინც არ შეშინებულან.  
მედგრათ ებრძოდენ მოსულ მტერს,  
მამულისათვის, სჯულისთვის,  
მათ ვაჟკაცობას სწირავდენ,  
თავისუფლების გულისთვის.  
შენი გულისთვის ეწამენ  
ორი ძმანი, ორი ძენი  
ზესტაფონით მოსულები,  
აზნაურნი ხეიძენი.  
იმათი ღვაწლი ჩვენამდის

თან და თან უფრო ბრწყინდება,  
შათაებრ ქვეყნის მოყვარე  
ღუთისაგან დაგვირგვინდება.

შალიკოს მონათელის ქვეშ

ღმერთო, გასწმინდე

ეს პატარა ყრმა

და აღმისრულე

მასზედ გულის თქმა.

ღმერთო, განათლე,

ამ ყრმის გონებ,

როგორც რომ შალვა

მოიგონება,

თუმც შალვაობა

დღეს არ არგია,

იგიც შალვაა,

ვინც ძმათ არგია.

შალვა ვუწოდე

ამ ყრმას სახელი,

ვით ერისთავი

კახეთის მხსნელი,

ღმერთო, მიეცი

ის მძლავრი ხელი

იქნეს ძმათათვის

კეთილის მქნელი.

1901 წლის საახალწლო.

მოამბეს



ბევრი კარგი იწერება  
ამ ჩვენს ყურნალ „მოამბეში“  
მაგრამ მაინც თანამგზობნი  
ცოტა ჰპოვა იმან ჩვენში.  
ვამ თუ რომ სულ მოისპოს  
და ჩაეარდეთ განსაცდელში,  
მას მერმე რომ თავში ვიცეთ,  
ვინლა მოგვეცემს წასუღს ხელში?

აკაკის კრებულს.

„კრებულმა“ სთქვა მალაღ წრეში  
ვერ ვიპოვნე ვერსად ბინა,  
ჩემს გამოცემს ახლამდისი  
უნდ ჰქონდეს გულში რკინა.  
ჩემი გამოცემისათვის  
რომ არ ეშვას იმას ხელი,  
არიგებდა ჩემთავს მუქთად  
თითონ დარჩა ჯიბა თხელი,  
მიტომ მასაც მოეწყინა  
ჩემი დროზედ გამოცემა,  
თორემ ჩემთვის აღრე იყო,  
დაძინება, მოსვენება.

ქვეყნის ივერიის.

ყველასა ესთხოვ წაიკითხოს  
ქვეყნიადის ივერია,  
ბევრი კარგი საგრძნობელი  
კგუისათვის შიგ სწეოს.

კვალს.

სულ მესამე დასი შრომობს  
ამ ჩვენს ჟურნალ ქართული „კვალში“  
ლანძღავენ და აგინებენ  
აიბუეს ტყუილად თვალში.

მწყემს.

მწყემსო, მომწყემსე ქვეყანას  
არ მოგერიოს ძილია,  
მწყემსი გყავს გამომცემელი  
გამოცდილი და ფრთხილია.

მოგზაურს

როსტომაშვილმა გამოსცა  
ჟურნალი „მოგზაური“

ღმერთსა ესთხოვ ჩვენსა ქვეყანას  
დასდოს მან სამსახურიო.  
მეტს ვერას ვიტყვით ამაზედ  
ჯერ ეს ახალი ხილია,  
ვისურვებ ზოგიერთივით  
არ ორეოდეს ძილია.

---

ი. ჭაჭაყაძეს.

სიბრძნით და მეცნიერებით  
მას არა ჰყავს ჩვენში ცალი,  
იმის ნაწერს ვერ რა დაშლის  
მაგარია ვით კლდე სალი.

---

აკაკის.

დღე გრძელობას ღეთის წყალობა,  
ჩვენ უსურვებთ ბატონ აკაკს,  
ტყუილად თიქრობს ზოგზოგები  
მის წინ ვერ ეინ იზამს მალაყს.  
მის სამღურავს ვერ გაბედავს,  
ღმერთი არის ღვექსთა წყობის,  
თაეის ერის მოყვარული  
მღერალია ქართველთ ძმობის.

---

ანჯონს,

თხზულებას სწერს ხშირად ანჯონ  
ლექსებსაც კი ეტანება,  
პირველსა სწერს რიგიანათ  
მეორეს კი ეტანება.  
რაზედაც კაცს ნიჭი გქონდეს  
უნდა მასზედ მოიხმარო,  
იმ ლექსს ვინლა დაათასებს  
ერთ სტრიქონზე ოფლი ღვარო?

არაგუისპირელს,

ჩვენს ცხოვრებას ყოველის მხრით  
ასწონს დასწონს-უკვირდება,  
ეტოუდება გვიწერს კარგებს  
ტყუილად არვის უხიზდება.

რაფაელს,

რაფაელმ, დიდი ხანი  
წერას თავი დაანება,  
მისი წერის დადუმება  
ყველა ქართველს გვენანება.

ვედოშვილს.

ტკბილ ტკბილ ლექსებს ხშირად გვიწერს,  
ბატონი ვედოშვილიო,  
ეტყოლა გლენთა ცხოვრებაში  
კარგათ აქ გაცნობილიო,  
როგორც კალამი ხელთ იპყრო,  
განდა მათი ძმობილიო.

ქ ა ხ ე ლ ს.

ტკბილათ ერეენა ოჯახი:  
ეტყოლა ჩვენს ცახელსაო,  
რა ცხოვრებაში შესტურა  
სულ აღარ ანძრევს ხელსაო,  
ეურჩევთ ნუ დადუმებულა  
გზასა დაადგეს ძველსაო.

გ ა შ ა ს.

რა რომ კალამი ხელთ იპყრო  
ფხიზლობს და არ დაეძინა,  
ღარიბსა ჩვენსა მწერლობას  
ბევრი პოემა შესძინა.

საერთოდ ყველა მწერლებს,



სამკალია შემოსული  
 გირჩეენიათ ჯერა ეს მკევეით,  
 აბა მითხარ რას გახდებით  
 ერთმანეთის ლანძღვა თრევეით?  
 ჩეენი ყველა თეისებანი,  
 მთლათ გააცენეთ ჩეენსა მტერებს,  
 რა შეიტყობს საიდუმლოს  
 მალე შუბს თვით გვაძგერებს.

ს.

სული და გული შენთვის მსურს  
 რომ შემოგწირო მსხვერპლათა,  
 არ დაესდევ ბევრიც ვიტანჯო,  
 მხოლოთ გიმზერდე ჩემათა.  
 შენს თავს თუ ეინმე წამართმევს  
 მე შეეიქნები ხელათა.  
 არ შეგრცხვენდება შენგამო,  
 მე რომ ვირბინო ველათა?

სწავლას უფრო მიაპყარი

თუ რომ გინდა ვაცოცხლებდე  
მამის სიტყვას ემორჩილებ  
იმის მცნებას არ გადახდე.

სააღმშენებლო

ქრთამს არ იღებდა ნუ მსჯითო, ყოველი ტან-  
ჯვა ითმინა,

რათ სჯით თქვენს მეფეს? ესა სთქვა, თუმცა  
ბრძოლა აღარ უსმინა,

ის იყო სულ რომ ალევდა, სასმელად წყალი  
ინება,

სოვლად მირთვეს ღრუბელი, ძმარმა პირს იწ-  
ყო ღინება,

ტაძრის კრეტსაბმელ განიპო, რა უფალს სული  
აღმოხდა,

ეს საზიზღრება რაც იყო, ადამის ცოდვიდან  
მოხდა,

ასტყდა ელვა, ცუდი დარი, ქარიშხალი და  
ქუხილი,

ღმერთს შენანებას სთხოვდიან, დიდათ შეექ-  
ნათ წუხილი.

სუღარში გვამი შეხვიეს, რა რომ ამინდი დაწყ  
ნარდა.

დედათ სუნელი წაუცხეს, მცხედარი მცველებს  
ჩაბარდა.

განთიადი რომ შეიქმნა, მის დამატების მესამე  
დღეს,

აღსდგა იგი უვნებელათ, რა ანგელოზთ ქვა გადიღეს.

რაფაელ ერისთავის გარდაცვალების გამო.

მოკვდა ის ვისაც გლეხისთვის  
მუდამ ჟამს გული სტკიოდა,  
ის მოკვდა ვინაც გლეხისთვის  
უიღბალობას სჩიოდა.

საწერ კალამი ხელთ ეპყრო,  
გლეხთ ოფელში ამოვლებული,  
ჟუყვარდა გლეხის მარჯვენა,  
ჩაშავებ-ჩაქანგებული.

მგოსანი სულ მას მოსთქვამდა:  
რა ეშველება თედოსო?

ვაი თუ საწყალ ბეჩაემა  
მზიან დღეს ვერ შეხედოსო,  
იმან სავსებით დაბატა,  
გლეხთ ჭირი გლეხთა ვარამი,  
სიკვდილოამდისი ბერ მგოსანს  
ძირს არ დაუდევს კალამი.



შეცდომანი:

დაბეჭდილია

უნდა იყოს

- მგ. სტ.
- 1 10 აქა ეშობელოვარ—აქა ეშობილოვარ.
- 19 5 როს მამა ჩვემი—რომ მამა ჩემი.
- 18 ხასიათ ჩეულებანი—ხასიათ ჩვეულებანი.
- 20 10 არ გავსკლი სახლ—არ გავსკლი სახლსა კლ-  
სა კლდეებსა დეებსა.
- 16 საწყალთა მჩაგვრედს—საწყალთა მჩაგვრელთ.
- 29 13 იკურთხოს შენი მარ—იკურთხოს შენი მარ-  
ჯვენა ჯვენა.
- 30 20 მაგრამ ხელი მაქეს—მაგრამ ხელი მაქეს ჯა-  
ტაჭვით შეკრულ ჭვით შეკრული.
- 31 18 ჭირით თვითვე მო—ჭირი თვითვე მოუტა-  
უტანეს ნეს
- 34 6 იმ უსულ ხორცო—იმ უსულ-უხორცო საგნის  
საგნის
- 39 20 ვისზედაც მსურს მე—ვიზედაცა მსურს მე  
ლექსის წერა ლექსის წერა
- 40 12 დაბეჭდილი ვერ გიხილე—დაბეჭდილი ვერ გი-  
ხილე.
- 47 10 ამ ყრმის გონებ—ამ ყრმის გონება.
- 49 8 ამ ჩვენ ქურნალ ქარ.—ამ ჩვენ ქურნალ ქარ-  
თული „კვალში“ თული „კვალში“.
- 50 6 არ ორეოდეს ძილია—არ მორეოდეს ძილია.
- 9 მას არა ჰყავს ჩვენში—მას არა ჰყავს ჩვენში  
ცალი ცალი.
- 54 11 ის იყო სულ რომ—ის იყო სულს რომ აძ-  
ალევედა ლევედა.
- 12 სოვლიად მიართვეს—სოვლიად მიართვეს ღრუ-  
ღრუბელი ბელი.



ქართული

საქმიანობა

ზ. ჭიჭინაძე

ტფილა, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი  
30 № რი.

—

ილა ისაკაძის გამოცემა:

- მცხეთელი ანდრია და რაჭდენ ბარამიძე. . . . . 10 კ.  
ლექსები, ენო ჭიჭინაძისა . . . . . 10 კ.

—————